



08.02.2013

“არა დიდ კაშხლებს”

სტატიები



შეუერთდი განხილვას

მდინარეების კალაპოტის შეცვლა, ადგილობრივების გადასახლება, ბიომრავალფეროვნების დაზიანება, ადგილობრივი ლანდშაფტების შეცვლა - ეს შედეგების არასრული ჩამონათვალია, რომელიც დიდი, კაშხლებიანი ჰესების აშენებას მოსდევს.

ბანერებით "არა დიდ კაშხლებს", ლეჩხუმსა და სვანეთში გადაღებული ფოტოებით - გაიხსნა დისკუსია საქართველოს ენერგეტიკულ პოლიტიკაზე და დიდი ჰესების სოციალურ გავლენაზე. 11 თებერვალს, კინოს სახლში, ასოციაცია "მწვანე ალტერნატივამ" დიდი ჰესების თემაზე დისკუსია მოაწყო.

ლიტერატორები, მწერლები, ენერგეტიკოსები, გარემოს დამცველები, მოსახლეობა

საქართველოს ენერგეტიკულ პოლოტიკაზე სასაუბროდ მოვიდნენ.

რამხელაა დიდი ჰესი? რა სოციალური გავლენა აქვს ადგილობრივ მოსახლეობაზე? რა ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოუტანოს ქვეყნის ბიუჯეტს? გადასწონის თუ არა ეს სარგებელი მოსალოდნელ ზიანს?

"იფიქრეთ ფართოდ და არა მხოლოდ პროფესიული ცოდნიდან გამომდინარე", - აღნიშნა მანანა ქოჩლაძემ, დისკუსიის ორგანიზატორმა და "მწვანე ალტერნატივას" დირექტორმა. - "შეხედეთ ამ საკითხს, როგორ საქართველოს მოქალაქეებმა და იფიქრეთ იმაზე, თუ რა ქვეყანას დავუტოვებთ მომავალ თაობას."

ნინო ჩხოვაძემ, "მწვანეთა მოძრაობის" თანათავმჯდომარემ და გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა, დიდი ჰესების გავლენაზე ისაუბრა.

[video:<http://www.youtube.com/watch?v=gZYcxNxpFfc>]

დისკუსიას რეგიონიდან ჩამოსულებიც ესწრებოდნენ.

სოფელ მექვენას მცხოვრები - ლეჩხუმიდან მაკა სულაძე ორ შვილთან ერთად ჩამოვიდა.

მაკას თქმით, ნამახვანის ჰესების მშენებლობის შესახებ, რომელიც მათ სოფელთან ახლოს, მდინარე რიონზე იგეგმება, მათ სრული ინფორმაცია არ აქვთ.

"მოვედი, რომ იმ მოსახლეობის გულისტკივილი გაგიზიაროთ, რომელიც ამ ხეობაში ცხოვრობს", - აღნიშნა სულაძემ. - "ლეჩხუმელების არა აქვთ ინფორმაცია იმ უარყოფითი შედეგების შესახებ, რაც ნამახვანის ჰესების კასკადმა შეიძლება მათ მოუტანოს."

"სახელწმიფომ ბორკილები კი არ უნდა დაადოს რიონს. წარმოგიდგენიათ საქართველო მშფოთვარე მდინარეების გარეშე?", - აღნიშნა ლეჩხუმელმა ქალბატონმა.

[video:<http://www.youtube.com/watch?v=E80WpJAMje4>]

დარიალის ჰესზე სასაუბროდ სტეფანწმინდიდან შოთა ბუჩუკური ჩამოვიდა, არასამთავრობო ორგანიზაცია "სტეფანწმინდას" გამგეობის წევრი.

"ვერანაირ შეღავათს ამ პროექტისგან ვერ მივიღებთ, რადგან ეს კომეცრიული პროექტია", - აღნიშნა ბუჩუკურმა.

ხაიშელებმა დისკუსიაზე ჩამოსვლა ვერ მოახრხეს.

გარემოს დაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროების წარმომადგენლები დისკუსიაზე არ გამოცხადდნენ.

მწერალმა ირაკლი ლომოურმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ დისკუსიას უფრო მეტი ხალხი არ ესწრებოდა, - "მალიან ცოტანი ვართ. ახალი ფორმებია მოსამდიებელი და პოლიტიკური პარტიების ჩართვაცაა აუცილებელი. უფრო აქტიური ბრძოლაა საჭირო. რაც შეგვიძლია, თქვენს გვერდით დავდგებით".

დისკუსიაზე შემაჯამებელი მოხსენება მწერალმა ნაირა გელაშვილმა წარმოთქვა.

"ეკონომიკა არ არსებობს ეკოლოგიის გარეშე", - აღნიშნა ნაირა გელაშვილმა.

[video:http://www.youtube.com/watch?v=jVA_Vt0RWwI]

დიდი ჰესების პროექტები საქართველოში

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საშუალო და მცირე ჰესებთან ერთად, რამდენიმე დიდი ჰესის აშენებას გეგმავს. ჰესების ნაწილი კაშხლიანი უნდა იყოს.

კაშხალი ქვის ან ბეტონის კედელია, რომლის შიგნით მდინარის წყალი გუბდება. დაგროვილი წყლის ენერჯია ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად გამოიყენება.

საქართველოში ყველაზე დიდი კაშხალი მდინარე ენგურზეა. მისი სიმაღლე 275 მეტრია. მეორე დიდი კაშხალი კი ხუდონჰესზე უნდა იყოს - 200 მეტრის სიმაღლის.

ხუდონჰესი

ერთ-ერთი კაშხლიანი ჰესი, რომელიც მდინარე ენგურზე უნდა აშენდეს, ხუდონჰესია.

200 მეტრი კაშხლის აშენების შემთხვევაში, წყლის ქვეშ აღმოჩნდება 530 ჰექტარი ფართობი ტერიტორია, მათ შორის, ჯვარი-მესტიის დამაკავშირებელი გზა, სასოფლო-სამეორნეო სავარგულები, ტყის მასივები, სასაფლაოები, ეკლესია, ხაიმის ციხე.

525 ოჯახი კი უნდა გადასახლდეს.

დარიალის ჰესი

მდინარე თერგის დაახლოებით 8 კილომეტრის სიგრძის მონაკვეთის წყლის გარეშე დატოვებას ითვალისწინებს. პროექტის თანხამად, მდინარის 90 პროცენტი გვირაბში უნდა გადააგდონ.

"მწავნე ალტერნატივას" აზრით, მდინარის ხეობის ამ მონაკვეთზე შეიცვლება ლანდშაფტი, დააზიანდება მდინარეში მოხინაძრე თევზი.

ნამახვანის ჰესების კასკადი

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მდინარე რიონზე სამი კაშხალი უნდა აშენდეს.

მისი გავლენის ქვეს მოექცევა 924 ჰექტარი ფართობის ტერიტორია. მათ შორის, ტვიშის ვენახები. გადასახლება მოუწევს 213 ოჯახს.

აჭარის ჰესები

აჭარაში დაგეგმილი ექვსი ჰესის მშენებლობის შემთხვევაში, წყლის ქვეშ აღმოჩნდება 735 ჰექტარი ფართობის ტერიტორია. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საზოგრები, ტყის კორომები.

ნაკადულის კალმახი, შავი ზღვის ორაგული,წავი, კავკასიური გველგესლა, მურა დათვი-პროექტი ამ სახეობების დაკარგვის საფრთხეს გაზრდის.



Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli ([Change](#))

[Comment](#)

Facebook social plugin

